34/05
ბ-29

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. დეკემბრის 14. № 20 ნაწილი პირველი

## შინაარსი:

**ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

294. იმ ინვალიდებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ, რომლებზედაც არ ვრცელდება სახელმწიფო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის კანონის მოქმედება, ხოლო რომელნიც ეკუთვნიან მოსახლეობის მშრომელთა ფენებს.

295. საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ.

296. პურეულისა და ბოსტნეულის დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსადგურებამდე გადაზიდვისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

297. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე 1929 წლის სექტემბრის 2-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-17 მუხლის მე-3 შენიშვნის შეცვლის შესახებ.

298. სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

299. საბინაო მშენებლობის მწარმოებლად დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის ხე-ტყის მასალის შეღავათიანი პირობებით მიცემის თაობაზე მომქმედ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

300. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ბამბის დამზადების რაიონებში სასყიდლიანი საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების ნებართვის შესახებ.

301. სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლის შეცვლის შესახებ.

**ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.**

302. „რემედასის" დეკადის ჩატარების შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

303. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წ. წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

304. საქართველოს სსრ სამებამბეო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებისა და მისი რეკონსტრუქციის ღონისძიებათა შესახებ.

305. საცხოვრებელი სადგომების შოვნისა, დაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საშინაო ბიუროს დაარსების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

306. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან არსებული საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო სამ ჭოებთან არსებული საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე კომიტეტის შესახებ.

307. 1928/29 და 1929/30 წლებში გაცემული სათესლე სესხის გადახდევინების წესის შესახებ.

308. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან საწარმოო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

309. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციის შესასებ.

310. სახალხო მასწავლებლების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

311. კულაკურ მეურნეობათა მიერ ბამბის ჩაბარების შესახებ.

312. ხე-ტყისა და შეშის დამზადების საქმის რწმუნებულის დანიშვნისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხე ტყისა და შეშის დამზადების გეგმების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

313. „სახალხო მასწავლებლების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების" თაობაზე გამოცემულ დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

314. 1930 წლის მოსავლის ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

315. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების ქვემდებარე ყველა წარმოების საწარმოსთან გამოგონებათა და მუშების წინადადებათა რეალიზაციისა და საფაბრიკო-საქარხნო გამომგონებლობის ხელისშემწყობი სათანადო ორგანოების დაარსებისა და აგრეთვე გამომგონებლობისა და მუშების წინადადებათა ხელისშემწყობი ფონდების შექმნის შესახებ.

316. ეპიზოოტიებთან მებრძოლი სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოების „ვეტეპო"-ს ამიერკავკასიის კონტორისათვის ეპიზოოტიებთან ბრძოლის წარმოების დაკისრებისა და მის განკარგულებაში სავეტერინარო პერსონალის გამოყოფის შესახებ.

---

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

## 294. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**იმ ინვალიდებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ, რომლებზედაც არ ვრცელდება სახელმწიფო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის კანონის მოქმედება, ხოლო რომელნიც ეკუთვნიან მოსახლეობის მშრომელთა ფენებს.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ ინვალიდებს, რომლებზედაც არ ვრცელდება სახელმწიფო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის კანონის მოქმედება, ხოლო რომელნიც ეკუთვნიან მოსახლეობის მშრომელთა ფენებს, მიენიჭოს ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებში (არტელებში) წევრად შესვლის უფლება თანაბრად იმ ომის ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიდებისა, რომელთაც მინიჭებული აქვთ სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

ამისდაშესაბამისად ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთის დებულების მე-8 მუხ. (საქ. კან. კრ. 1927 წ. 4 №-ი, მუხ. 66) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთში (არტელში) წევრად შესვლის უფლება ეძლევა არაშრომითი შემოსავლის არმქონე:

ა) ყველა ჯგუფისა და კატეგორიის ინვალიდს;

ბ) ფრონტზე და კონტრევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული და გარდაცვალებული სამხედრო მსახურისა, გარდაცვალებული დაზღვეულისა და ომისა და შრომის ინვალიდის ოჯახის წევრებს“.

2. ამა დადგენილებაში აღნიშნული პირების ინვალიდთა შენაერთებში (არტელებში) შესვლისა და აგრეთვე უფასო სახელოსნო და სარეწაო პატენტების მიღების პირობებსა და წესს დაადგენს საქართველოს სსრ-ის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 4.
ტფილისი-სასახლე.

---

## 295. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

### საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ.

კულტურული მშენებლობის ტემპის გაძლიერებისა და მშრომელი მასების ტეხნიკური ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაციისათვის, სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალურ-სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის ამოცანების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, — „საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის შესახებ“ გამოცემული თავისი 1930 წ. მაისის 21-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 12 №-ი, მუხ. 170) ნაწილობრივ შესაცვლელად და დასამატებლად, — ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების სრული განხორციელებისა, 8,9 და 10 წლის ბავშთათვის და 11-15 წლის მოზარდთათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) 1930-31 სასწავლო წლის განმავლობაში—ყველა ქალაქში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, კოლექტივიზაციის ადგილას, ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოების ქვემდებარე სოფელ-ადგილას და აგრეთვე მთლად შემდეგ რაიონებში: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ამბროლაურის, ბაღდადის, ვანის, ზესტაფონის, ჭიათურის, ონის, ოკრიბის, სამტრედიის, ჩხარის, ცაგერის, ხონის, ხარაგოულის, გორის, სტალინისის, ბორჯომის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, გარე-კახეთის, მუხიანის, კასპის, ლაგოდეხის და ყვარლის;

ბ) 1930-31 და 1931-32 სასწავლო წლების განმავლობაში—აფხაზეთის სსრ-ში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და შემდეგ რაიონებში: აღბულაღის, დუშეთის, ერწო-თიანეთის, ხევის, ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის, ახალქალაქის და გორელოეს;

გ) 1930-31, 1931-32 და 1932-33 სასწავლო წლების განმავლობაში—აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და აგრეთვე შემდეგ რაიონებში ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, ლიუქსემბურგის, წალკის, ახალციხის, ადიგენის და ტოლოშის.

2. დაევალოს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე წინა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს შეადგინონ, 10 დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების ზუსტი გეგმა იმ ანგარიშით, რომ მუშაობის დიდი ნაწილი აუცილებლად შესრულებულ იქნეს პირველ წლებში და რომ ამა დადგენილებით გათვალისწინებული ვადების უკანასკნელი წლებისათვის დატოვებულ იქნეს მხოლოდ ცალკეული სოფლები და ადგილები, რომელნიც კულტურულად, ყოფაცხოვრებით და სასკოლო მშენებლობის მხრით განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან.

შედგენილ გეგმებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები წარუდგენენ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები—განათლების სახალხო კომისარიატს.

3. ნორმალური ტიპის სკოლად, რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს საყოველთაო სავალდებულო სწავლება, ჩაითვალოს: 8,9 და 10 წლის ბავშვებისათვის—პირველი საფეხურის სრულკომპლექტიანი სკოლა (4 წლედი), მოზარდთათვის 11-დან 15 წლამდე—ერთ და ორწლიანი სკოლა, ხოლო მცირედ დასახლებულ ადგილებში—მოძრავი სკოლა ან სტაციონარული სკოლა შორეული სოფლების ბავშთა ინტერნატით.

4. 1930-31 სასწავლო წლიდან ქალაქებში, სამრეწველო და მუშათა ცენტრებში და აგრეთვე კოლექტივიზაციის რაიონებში დაწყებულ იქნეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება 7-წლიანი შრომის სკოლის საშუალებით (საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედი და კოლექტიურ მეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლა). დადგენილ იქნეს, რომ იმავე 1930-31 წლიდან მთლად აღნიშნული ადგილების ახალგაზრდობამ, რომელიც 1929-30 სასწავლო წლის დასასრულ ისათვის 4-წლედის სრულ კურსს გაივლის, სწავლა განაგრძოს მე-5 ჯგუფში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 1930-31 სასწავლო წლიდან დაწყებული აიკრძალოს პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში მოთავსებულ ბავშთა სკოლიდან გაყვანა სრული კურსის დამთავრებამდე.

6. ყველა შენობა, რაც მთლად რესპუბლიკის ტერიტორიზე კონფისკაციის წესით მემამულეებს, კულაკებსა და სხვა ელემენტებს ჩამოერთვა, გამოუნაკლისად გადაეცეს განათლების ორგანოებს სკოლებისათვის გამოსაყენებლად; ის სასკოლო სადგომები ქალაქად და სოფლად, რაც ამჟამად სხვა დაწესებულებებს უჭირავს და პირდაპირი დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული, დაებრუნოს განათლების ორგანოებს ამა წლის ოქტომბრის 20-მდე.

7. საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებასთან და კულტურული მუშაობის ზრდასთან ერთად, ხმარებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი სასკოლო მუშაობის თვისებრივი გაუმჯობესებისათვის.

სასკოლო მუშაობის თვისებრივად გაუმჯობესების საქმეში ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს: სკოლის საწარმოო ბაზაზე გადაყვანა, მისი პოლიტეხნიზაცია, საწარმოო პროცესების თეორიული და პრაქტიკული შესწავლა, წარმოებისათვის ენერგეტიული და ტეხნიკური ბაზის შექმნა, სხვადასხვა მასალისა და პროდუქტის ტეხნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის შესწავლა.

ამ მიმართულებით მიზნად უნდა იქნეს დასახული:

ა) 5 წლედის დასასრულისათვის (1932-33 წ.) სოფლისა და ქალაქის სკოლების ძირითადი მასის პოლიტეხნიზაცია;

ბ) სკოლის პოლიტეხნიზაციის საქმეში მთავარი და ხელმძღვანელი როლის მიკუთვნება მრეწველობის ხაზის საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედისათვის, ხოლო სოფლის მეურნეობის ხაზით—კოლმეურნეობათა ახალგაზრდობის სკოლისათვის;

გ) პირველი საფეხურის სოფლის სკოლების აგრონომიზაცია, მათი აგრო და ზოომინიმუმის უზრუნველყოფით; ამ სკოლებში სხვადასხვა პოლიტეხნიკური შრომის შემოღება; ქალაქის ოთხწლედების ასეთსავე პოლიტეხნიკურ შრომაზე (შრომის კუთხე, ოთახი და სხვ.) გადაყვანა;

დ) განხორციელება სკოლების ფაქტიური შრომითი კავშირისა წარმოებასთან (ფაბრიკასთან, ქარხანასთან, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობასთან და სხვ.); სკოლების უზრუნველყოფა სათანადოთ გაწყობილი სახელოსნოებით, რისთვისაც ამ საქმეში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ, ნივთიერი დახმარებით, ფაბრიკებმა, ქარხნებმა, საბჭოთა და კოლექტიურმა მეურნეობებმა, კოოპერატიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა.

8. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს მისცეს, ამა დადგენილების საფუძველზე, თავის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს დამატებითი დირექტივები საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისა და სკოლის პოლიტეხნიზაციის საკითხების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 9.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 237 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 296. დადგენილება ც. ა. კ. და ს. ს. კ.

**პურეულისა და ბოსტნეულის დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსადგურებამდე გადაზიდვისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს პურეულისა და ბოსტნეულის დამზადების ადგილების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის,—სათანადო დამზადებელი ორგანიზაციების მოთხოვნით და „პურის დამზადების რაიონებში სასყიდლიანი შრომითი ჭაპანზიდვის ბეგარის შემოღების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ნოემბრის 11-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 284) გათვალისწინებულ საფუძველზე,—სასყიდლიანი შრომითი ჭაპანზიდვის ბეგარა პურეულისა და ბოსტნეულის გადასაზადად დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსადგურებამდე.

**შენიშვნა.** სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისათვის ამა მუხლში აღნიშნული ბეგარის შემოღების შესახებ ზედმდგომი ორგანოების ნებართვა თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭირო არ არის.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ხუთი დღის ვადაზე დააწესოს შრომითი ჭაპანზიდვის ბეგარის წესით წარმოებული გადაზიდვის მტკიცე შეფასება პურეულისა და ბოსტნეულის დამზადების რაიონების მიხედვით და მიაწოდოს იგი სახელმძღვანელოდ დამმზადებელ ორგანიზაციებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. მთლად იმ დროის განმავლობაში, რაც იწარმოებს დამზადების რაიონებიდან პურეულისა და ბოსტნეულის გადაზიდვა რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსადგურებამდე, მობილიზებულ იქნეს პურეულისა და ბოსტნეულის დამზადების რაიონებში და გადაეცეს გამგებლობისათვის სათანადო დამმზადებელ ორგანიზაციებს ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებებისა და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განკარგულებაში ქონებული მთელი საავტომობილო და ჭაპანზიდვის ტრანსპორტი და აგრეთვე ამ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი ცხენები.

**შენიშვნა 1.** აღნიშნული მობილიზაციისაგან განთავისუფლდება იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საავტომობილო და ჭაპანზიდვის ტრანსპორტი და ცხენები, რომელთა განსაკუთრებულ სიასაც დაამტკიცებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

**შენიშვნა 2.** ამა დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ მობილიზებული ქონების საექსპლოატაციო ხარჯი მიეწერება სათანადო დამმზადებელ ორგანიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს აჭარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამა დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი ამ რესპუბლიკისა და ოლქის სათანადო დამხადების რაიონებში.

5. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 12.
ტფილისი-სასახლე.

---

## 297. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე 1929 წლის სექტემბრის 2-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-17 მუხლის მე-3 შენიშვნის შეცვლის შესახებ.**

თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 18-ის დადგენილებისა ა/კსფსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 2-ის დადგენილების მე-13 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ"—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კრმიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 19 № ი, მუხ. 202; 1930 წ. 14 №-ი, ნუხ. 210) მე-17 მუხლის მე-3 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

**„შენიშვნა 3.** თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახური,—გარდა ვადიანი სამსახურის უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურისა,—რომელიც გაგზავნილია სამხედრო სასწავლებელში კურსის გასასვლელად ან და იმყოფება საკარვოდ, ხანგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლივ მივლინებაში ან სასტაჟიოროდ, ქირას საცხოვრებელი სადგომისათვის, რაც მას უჭირავს როგორც მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ისე დროებით სამყოფელ ადგილას, გადაიხდის მისთვის დაწესებული საბინაო ქირის 50%-ის რაოდენობით, უკეთუ დროებით სამყოფელ ადგილას საცხოვრებელი სადგომი მას უსასყიდლოდ არა აქვს მიცემული".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

---

## 298. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

თანახმად სსრკ-ის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საფუძველთა მე-20 მუხლისა (იმ რედაქციით, რაც არის „სოციალური დაზღვევის წესით პენსიებისა და დახმარების დანიშვნის დებულების" დამტკიცების შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების მე-V კარში—სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ.131), სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მაისის 31-ის დადგენილებისა „ისეთ სახელმწიფოებრივ დანაშაულთა შესახებ, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან პენსიისა და დახმარების უფლების ჩამორთმევა" (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 31 №-ი, მუხ. 339), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილებისა „ისეთ დანაშაულთა შესახებ, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან პენსიისა და დახმარების უფლების ჩამორთმევა" (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 173), და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 2-ის დადგენილებისა „ისეთ სამხედრო დანაშაულთა შესახებ, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან პენსიისა და დახმარების უფლების ჩამორთმევა" (სსრკ. კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 464) აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77№-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 48) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„31. უფლების აყრა გულისხმობს:

ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევას;

ბ) საზოგადოებრივ ორგანიზაციაში საარჩევნო თანამდებობის დაჭერის უფლების ჩამორთმევას;

გ) ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი თანამდებობის დაჭერის უფლების ჩამორთმევას;

დ) საპატიო წოდების ტარების უფლების ჩამორთმევას;

ე) მშობლიური უფლების ჩამორთმევას;

ვ) სოციალური დაზღვევისა და სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის წესით დანიშნული პენსიისა და სოციალური დაზღვევის წესით უმუშევრობისათვის დანიშნული დახმარების უფლების ჩამორთმევას.

უფლების ჩამორთმევა შეიძლება ხუთ წელზე არა უმეტესი ვადით.

ჩამორთმევა შეიძლება როგორც ყველა ზემოაღნიშნული უფლებისა ერთად, ისე თვითეულისა ცალ-ცალკე.

უკეთუ უფლების ჩამორთმევა ერთვის თავისუფლების აღკვეთას, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიება, იგი გასტანს პატიმრობის მთელ დროს და, ამის გარდა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ ვადასაც.

მშობლიური უფლება შეიძლება ჩამოერთვას მსჯავრდადებულს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სასამართლოს სცნობს, რომ მსჯავრდადებული ბოროტად იყენებს ამ უფლებას.

პენსიისა და დახმარების უფლების ჩამორთმევა შეიძლება: (უკეთუ დამნაშავე მსჯავრდადებულ იქნა სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენისათვის (კერძო ნაწილის 1-ლი თავი); ბ) უკეთუ დამნაშავე მსჯავრდადებულ იქნა ანგარებითი დანაშაულის ჩადენისათვის და მას გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთ წელიწადზე მეტი ვადით ან განდევნა უწყებული ადგილიდან სხვა ადგილას დასახლებით, როგორც სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება, გ) უკეთუ დამნაშავეს გადაეწყვიტა, როგორც სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიება, მთელი ქონების კონფისკაცია; დ) უკეთუ დამნაშავე მსჯავრდადებულ იქნა მშვიდობიანობის დროს სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 3, 4, 7, 9, 12, 13, 17, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26,27, და 28 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისა, ხოლო ომიანობის დროს— ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის ჩადენისათვის“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 299. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**საბინაო მშენებლობის მწარმოებელ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის ხე-ტყის მასალის შეღავათიანი პირობებით მიცემის თაობაზე მომქმედ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.**

„მერქნის უსასყიდლოდ და შეღავათიანი პირობებით გაცემის მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 18-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. 16 №-ი, მუხ. 170) 1-ლი მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს: 1) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის იანვრის 11-ის დადგენილება „საბინაო კოოპერაციისათვის ხე-ტყის მასალის საშეღავათო წესით მიცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან: კრ. 1926 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26) და

2) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის აგვისტოს 1-ის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციისათვის ხე-ტყის მასალის საშეღავათო წესით მიცემის თაობაზე 1929 წლის იანვრის 11-ის თარიღით გამოცემული დადგენილების იმ სახელმწიფო დაწესებულებებზე გავრცელების შესახებ, რომელნიც მუშათა ბინებს აშენებენ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-ი, მუხ. 93).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 24.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 273 №-ში 1930 წ. ნოემბრის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 300. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ბამბის დამზადების რაიონებში სასყიდლიანი საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების ნებადართვის შესახებ.**

ნება დაერთოს ბამბის დამზადების რაიონების საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს შემოიღონ ხოლმე 1930 წლის მოსავლის ბამბის მოკრეფისა და ჩაბარების დროის განმავლობაში სასყიდლიანი საჭაპანზიდვო ბეგარა იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 11-ის დადგენილებაში „პურის დამზადების რაიონებში შრომითი ჭაპანზიდვის ბეგარის შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 284).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თაამჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 9.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 272 №-ში 1930 წ. სექტემბრის 20.

---

## 301. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1 №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„195. სოფლად ბაღისა, ვენახისა, ბოსტნისა, ნათესისა და სხვ. განზრახ წახდენა საქონლის მიშვებით, უკეთუ მიყენებული ზიანი 50 მანეთს არ აღემატება, გამოიწვევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებით მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას არა უმეტეს წანახედით მიყენებული ზიანის თანხის ორმაგი რაოდენობისა“,

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 9.
ტფილისი-სასახლე.

---

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

## 302. დადგენილება ც. ა. კ.

### „რემედასის“ დეკადის ჩატარების შესახებ.

„რემედასის“ მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი იდეებისა და მიზნების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს „რემედასს“ მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე რემედასის დეკადა 1930 წ. ოქტომბრის 15—25 ამა დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნული ვადის—1930 წლ. ოქტომბრის 15—25 განმავლობაში „რემედასს“ ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ა/წ. ოქტომბრის 15—18-მდე ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში; აგრეთვე შეაგროვოს ნებაყოფლობითი შემოწირულება ხელმოსაწერი ფურცლებით დაწესებულებებსა და საწარმოებში დეკადის განმავლობაში:

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამი დღის განმავლობაში დაბეგვრის სახით „რემედასის“ სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელზე ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

**შენიშვნა.** ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ „რემედასი" განახორციელებს ამ მიზნისათვის მოწყობილი დეკადის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 4.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 236 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 9.

---

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

## 303. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1930-31 წ. წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 12-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. № 39, მუხ. 419) დამტკიცებული წყლის გამოსაღების დებულების საფუძველზე და 1930-31 წ. წყლის გამოსაღების თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 7-ის თარიღისა და 227 №-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა" № 244) თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებული წესი 1930-31 წ. საგადასახადო წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

2. წყლის გამოსაღები შემოიღება საქართველოს სსრ წყლის ქსელის ექსპლოატაციისა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში მყოფ წყალ-სამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატის შენახვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

წყლის გამოსაღებით შემოსული თანხებიდან გაწეულ უნდა იქნეს წყლის ქსელის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) წყალ-სამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტი და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული პროექტირება;

ბ) არსებულ წყლის სისტემათა საექსპლოატაციო დარგის ორგანოების სასამსახურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვა და რემონტი;

გ) არსებულ წყლის სისტემათა სატელეფონო კავშირგაბმულობის შენახვა და რემონტი;

დ) საექსპლოატაციო ჰიდრომეტრია და მიმდინარე სტატისტიკა;

ე) საერთო სარგებლობის არხების გასწვრივ ხეების დაცვა;

ვ) რწყვის პერიოდში წყლის განაწილების მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოები;

ზ) ქვედა წყალ-სამეურნეო დაწესებულებათა საესპლოატაციო შტატის შენახვა, აგრეთვე მერაბებისა, ჯგუფებისა, ყარაულებისა, მოარული დარაჯებისა და სხვ. სრული შენახვა.

**შენიშვნა.** მთლად საირიგაციო სისტემაზე საწარმოები ახალი დიდი და წვრილი მშენებლობის ხარჯები წყლის გამოსაღებით არ დაიფარება.

3. წყლის გამოსაღები გადაჰხდება ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს, კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც გამოიყენებს წყალ-სამეურნეო სისტემას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მორწყვისა ან მელიორაციისათვის, აგრეთვე ვინც მოიხმარს წყალს ან გამოიყენებს წყლის ენერგიას სამრეწველო ან სატეხნიკო მიზნით.

**შენიშვნა.** წყლის გამოსაღები არ უნდა გადახდეს იმ წყალმომქმედ საწარმოს, რომელიც წყალს ხმარობს, როგორც ამამოძრავებელ ძალას ან ტეხნიკური და სამრეწველო მიზნით პირდაპირ ბუნებრივ წყალსათავსიდან (მდინარიდან, ტბიდან ან სხვ.).

4. წყლის გამოსაღები სოფლად გამოიანგარიშება შემოსავლის მიხედვით, რასაც მეურნეობა მიიღებს ფულად და ნატურად შემდეგი წყაროებიდან: 1) სარწყავი მიწიდან, რაზედაც გაშენებულია როგორც სამინდვრე კულტურები, ისე სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგები (ბაღი, ვენახი, ბოსტანი და სხვ.); 2) სამრეწველოდან, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებით მუშაობს.

5. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა სარწყავი მიწისა სოფლად განისაზღვრება შემოსავლიანობის იმ ნორმების მიხედვით რაც კანონით დადგენილია უწყებულ საგადასახადო წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის. ამისათვის შეჯამებულ უნდა იქნეს ამ ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული შემოსავალი თვითეულ მეურნეობის ყველა კულტურისა, რაც-კი სარწყავ მიწებზეა.

**შენიშვნა 1.** წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავალი გამოიანგარიშება ნორმების მიხედვით იმ კოლექტიურ მეურნეობებშიაც, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით უწყებულ საგადასახადო წელს იბეგრებიან ანგარიშგების მიხედვით.

**შენიშვნა 2.** ინდივიდუალური წესისამებრ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავ კულაკურ მეურნეობაში (25 მუხ. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930-31 წ. ერთიანი სასოფ.-სამ. გადასახადის ჩატარების შესახებ,—საქ. სსრ კან კრ. 1930 წ. 15 №-ი, მუხ. 245) წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის რაოდენობა სარწყავი მიწისა განისაზღვრება იმ თანხით, რაც სარაიონო საგადასახადო კომისიის მიერ დადგენილია ამ მიწის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

6. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავალი სოფლად მდებარე წყალმომქმედი საწარმოსი, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება, განისაზღვრება ამ საწარმოს შემოსავლის იმ თანხით, რაც უწყებულ წელს დაბეგრილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

7. წყლის გამოსაღების რაოდენობა თვითეული ინდივიდუალური მეურნეობისათვის სოფლად განისაზღვრება სარწყავი მიწისა და წყალმომქმედი საწარმოს დასაბეგრი შემოსავლის თანხის მიხედვით, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-5 და 6 მუხლების თანახმად, შემდეგი განაკვეთლებისამებრ.

| როდესაც საერთო თანხა მეურნეობის შემოსავლისა, რაც ერთიანი სას.-სამ. გადასახადით იბეგრება, არის: | წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე: |
|---|---|
| არა უმეტეს 100 მანეთისა | 2 კაპ. |
| 100 მანეთზე მეტი 200 მან-მდე | 3 კაპ. |
| 200 „ „ 300 „ | 5 „ |
| 300 „ „ 400 „ | 7 „ |
| 400 „ „ 500 „ | 9 „ |
| 500 „ „ 600 „ | 11 „ |
| 600 „ „ 700 „ | 14 „ |
| 700 „ „ 800 „ | 17 „ |
| 800 „ „ 1.000 „ | 21 „ |
| 1.000 „ „ | 24 „ |

**შენიშვნა.** ინდივიდუალურ საშუალო მეურნეობას. სადაც 7 ან 8 მჭამელია შეწერილი წყლის გამოსაღები შეუმცირდება 5%-ით, იმ მეურნეობას, სადაც 9 ან 10 მჭამელია—10%-ით და სადაც 11 ან მეტი მჭამელია—15%-ით.

8. კულაკური მეურნეობანი, რომელნიც ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს გადაიხდიან შემდეგი რაოდენობით:

| როდესაც სასოფ.-სამ. გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი არის: | წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე: |
|---|---|
| 500 მანეთამდე | 12 კაპ. |
| 500 მან-ზე მეტი 600 მანეთამდე | 16 „ |
| 600 „ „ 700 „ | 20 „ |
| 700 „ „ 800 „ | 24 „ |
| 800 „ „ 900 „ | 30 „ |
| 900 „ „ 1000 „ | 36 „ |
| 1000 „ „ | 40 „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. კოლექტიური მეურნეობანი წყლის გამოსაღებით დაიბეგრებიან მტკიცე განაკვეთებით, მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის გამოანგარიშებული შემოსავლისა, შემდეგი რაოდენობით:

ა) სასოფლო-სამეურნეო არტელი და მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა გადაიხდის 3,75 კაპ. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე;

ბ) სასოფლო სამეურნეო კომუნა გადაიხდის 3 კაპ. წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

10. უკეთუ კოლექტიური მეურნეობის წევრს შენარჩუნებული აქვს ინდივიდუალური მეურნეობა, წყლის გამოსაღები ამ მეურნეობისათვის გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

ა) იმ სარწყავი მიწის შემოსავალზე, რაც დაჭერილია კოლმეურნეობის წევრის ინდივიდუალურ სარგებლობაში დარჩენილი საშემოდგომო ნათესით, გადახდევინებულ უნდა იქნეს 3,75 კაპ. საერთო ფართობის ნორმატიულად გამოანგარიშებული შემოსავლის თვითეულ მანეთზე;

ბ) დანარჩენ შემოსავალზე—ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნული განაკვეთების ტაბულის მიხედვით.

**შენიშვნა.** განთავისუფლებულია წყლის გამოსაღებისაგან კოლმეურნეობის იმ წევრის ინდივიდუალური მეურნეობა, რომელიც საგადასახადო წლის წინა წელს მცირე-ძალოვნობის გამო სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო.

11. მარტივი ამხანაგობის წევრის შემოსავალი წყლის გამოსაღებით დაიბეგრება ამ ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ მეურნეობაში.

12. საბჭოთა მეურნეობას წყლის გამოსაღები, მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის გამოანგარიშებული შემოსავლის საერთო თანხისა, გადახდება 5 კაპ. რაოდენობით წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

13. კოლექტიურ მეურნეობებს წყლის გამოსაღებით დაბეგვრის სფეროში მიენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

ა) წყლის გამოსაღებისაგან განთავისუფლდება ყველა კოლექტიური მეურნეობა, რომელიც უწყებულ წელს დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ბ) იმ მცირეძალოვან კოლექტიურ მეურნეობას, რომელსაც სარაიონო საგადასახადო კომისიის დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 50%-ით აქვს შემცირებული, წყლის გამოსაღებიც 50%-ით შეუმცირდება;

გ) წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშების დროს შემოსავალი სარწყავი მიწისა, რაც ეკუთვნის კოლექტიური მეურნეობის იმ წევრს, რომელიც წარსულ წელს მცირე-ძალოვნობის გამო სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო, შემცირდება 75%-ით;

დ) სარწყავ მიწაზე ნათესი ფართობის ნამატი, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია, წყლის გამოსაღებისაგანაც განთავისუფლდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ბამბით და სხვა სპეციალური კულტურებით დაჭერილი სარწყავი მიწების წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს ყველა შეღავათი რაც დაწესებულია ამ მიწების 1930-31 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის;

ვ) 1930 წლის მაისის 1-მდე დაარსებული წითელარმიელთა კოლექტიური მეურნეობა და ყოფ. წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების მიერ მოწყობილი კოლექტიური მეურნეობა განთავისუფლდება წყლის გამოსაღებისაგან ორი წლის განმავლობაში მეურნეობის დაარსების დღიდან; ამასთანავე ეს შეღავათი შეფარდებულ არ უნდა იქნეს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში;

ზ) გადასახლებულ წითელარმიელთა კოლექტიური მეურნეობა და ყოფ. წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების მიერ მოწყობილი კოლექტიური მეურნეობა განთავისუფლდება წყლის გამოსაღებისაგან ორი წლის განმავლობაში მეურნეობის მოწყობის დღიდან.

**შენიშვნა.** „ვ" და „ზ" პუნქტებში აღნიშნული შეღავათები მიენიჭება კოლექტიურ მეურნეობას იმ შემთხვევაში: 1) უკეთუ კოლექტიური მეურნეობა მოწყობილია მერიგეთა და თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთა მიერ არა უგვიანეს ერთი წლისა წითელ არმიის რიგებიდან დათხოვნის დღიდან, ან და ტერიტორიალური ნაწილის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურთა მიერ; 2) უკეთუ აღნიშნული კატეგორიის სამხედრო მსახურნი ან ყოფ. წითელგვარდიელები და წითელპარტიზანები კოლექტიური მეურნეობის შრომის-უნარიან მამაკაც-წევრთა საერთო რიცხვის ნახევარს მაინც შეადგენენ.

14. ინდივიდუალურ მეურნეობათა (გარდა კულაკურისა) წყლის გამოსაღებით დაბეგვრის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს შემდეგი შეღავათები:

ა) წყლის გამოსაღებისაგან განთავისუფლდება ყველა მცირეძალოვანი მეურნეობა, რომელიც უწყებულ საგადასახადო წელს განთავისუფლებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან როგორც დაუბეგრავი მინიმუმის მიხედვით, ისე სარაონო საგადასახადო კომისიის დადგენილებით;

ბ) სარწყავ მიწაზე ნათესი ფართობის ნამატი, რაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია, წყლის გამოსაღებისაგანაც. განთავისუფლდება:

გ) ბამბით დაჭერილი სარწყავი მიწების წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს ყველა შეღავათი, რაც დაწესებულია ამ მიწების 1930-31 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის;

დ) წყლის გამოსაღებისაგან განთვისუფლდება წყლის მოსარგებლეთა კოლექტიური შენაერთი (სამელიორაციო ამხანაგობა), რომელმაც იკისრა წყლის სისტემის ექსპლოატაცია მთლიანად ან ნაწილობრივ და აგრეთვე ამ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2 მუხლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მემინდვრეთა კავშირს ერთი კვირის ვადაზე წარმოადგინოს იმ სამელიორაციო ამხანაგობათა სია, რომელთა აპარატისა და ქსელის შენახვასთან დაკავშირებულ 1930-31 წლის ყველა ხარჯის თვითდაბეგვრის წესით დაფარვას უზრუნველჰყოფს ეს კავშირი.

15. კულაკურ მეურნეობათ, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, წყლის გამოსაღების სფეროში არავითარი შეღავათი არ მიენიჭებათ.

16. ქალაქისა და საქალაქო ტიპის დასახლებული ადგილისათვის, აგრეთვე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავი საწარმოსათვის, რომელიც წყალს გამოიყენებს სამრეწველო და სატეხნიკო მიზნით ან როგორც ამამოძრავებელ ძალას (სხვათა შორის—რკინის გზისათვისაც) წყლის გამოსაღები დაწესდება შემდეგი განაკვეთებით:

ა) სარწყავი მიწის ნაკვეთის თვითეულ კვადრატულ მეტრზე-0,2 კაპ.;

ბ) ადგილობრივ ტიპის წყალმომქმედ საწარმოსათვის (წისქვილი, სანაყავი და სხვ.) ყოველ თვალზე, ყოველ ვალცენზე ან წყვილ მორგვზე,—იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება თუ სხვა არხში—5—15 მან.;

გ) საინჟენერო ტიპის წყალმომქმედ საწარმოსათვის (მექანიკური ძრავით), რომელიც წყალს გამოიყენებს როგორც ამამოძრავებელ ძალას,—თვითეულ ძალაზე—იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება თუ სხვა არხში—10—20 მან.;

დ) იმ საწარმოსათვის, რომელიც წყალს გამოიყენებს სამრეწველო და სატეხნიკო მიზნით (სხვათა შორის რკინის გზისთვისაც)—მოსახმარებელი წყალის რაოდენობის მიხედვით—თითეულ კილო-ლიტრაზე—1—65 კაპ.

17. წყლის ქსელის საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად, წყლის გამოსაღების აკრეფამდე, სათანადო წყალსამეურნეო ორგანოებს შეუძლიანთ მიიღონ სასოფლო-სამეურნეო ბანკებიდან მოკლევადიანი სესხი, რაც დაფარულ უნდა იქნეს წყლის გამოსაღების თანხებით.

სესხის მიღებისათვის თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

18. საგადასახადო წელიწადი წყლის გამოსაღებისათვის დაწესებულია მაისის 1-დან აპრილის 30-მდე ამიანად.

19. წყლის გამოსაღები მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე—მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებითა და ოლქითუთრ-გადახდილ უნდა იქნეს ორ ვადაზე:

1930 წ. ნოემბრის 1-თვის . . . . . 50% შეწერილი გამოსაღებისა
1930 წ. დეკემბრის 1-თვის . . . . . 50% „ „

**შენიშვნა.** კულაკური მეურნეობანი, რომელნიც ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს სრულად გადაიხდიან ნოემბრის 1-სათვის.

20. წყლის გამოსაღების გამოანგარიშება და გადახდევინება დაეკისრება:

ა) სოფლად და აგრეთვე ისეთ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობა დაბეგრილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადით—იმ ორგანოებს, რომლებიც გათვალისწინებულ არიან „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930-1931 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 16-ის დადგენილების 88 მუხლში (საქ. კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ი, მუხ. 55);

ბ) ისეთ ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი არ არის,—იმ ორგანოებს, რომლებიც რენტის გამოანგარიშებას და გადახდევინებას აწარმოებენ.

**შენიშვნა.** წყლის გამოსაღების გადახდევინება შეიძლება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშენაწერო ფურცლით ამ გადასახადთან ერთად.

21. წყლის გამოსაღების გადამხდელთა განცხადებები და საჩივრები შეიტანება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო და საქალაქო კომისიებში და განიხილება ორი კვირის ვადაზე დღიდან მათი შეტანისა.

განცხადებებისა და საჩივრების შეტანისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები:

ა) საჩივარი შემოსავლის წყაროების არასისწორით აღნუსხვისა, შემოსავლის განსაზღვრისა და გამოსაღების გამოანგარიშების შესახებ, აგრეთვე განცხადება შელავათის მინიჭების შესახებ,—გარდა შელავათებისა სტიქიურ უბედურების გამო,—შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა გადამხდელისათვის საშენაწერო ფურცლის ჩაბარების დღიდან;

ბ) განცხადება სტიქიური უბედურების გამო შელავათის მინიჭების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში იმ დროიდან, როცა სტიქიური უბედურება მოხდა.

22. გადამხდელს, რომელიც წყლის გამოსაღებს დაწესებულ ვადაზე არ გადაიხდის, შეეფარდება გადასახადთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული ღონისძიება.

23. წყლის გამოსაღების გადამხდელნი, მიუხედავად ამ გამოსაღების გადახდისა, გაიწევიან ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე განსაკუთრებული კანონის თანახმად.

24. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხა ჩაირიცხება საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალურ სახსარში და მოხმარდება მხოლოდ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებას.

ამ თანხების მიღებისათვის თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

25. ინსტრუქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. სექტემბრის 25.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 233 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 304. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ სამებამბეო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებისა და მისი რეკონსტრუქციის ღონისძიებათა შესახებ.**

1930/31 წელს ა/კსფსრ-ში მებამბეობის განვითარების საკონტროლო ციფრების შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 249—1930 წ. სექტემბრის 15-ისა) აღსასრულებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ბორჩალოს, გურჯაანის და სიღნაღის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ტფილისის საქალაქო საბჭოს, ბამბის საწმენდი ქარხნების მმართველებთან, წყალთა ოლქების გამგეებთან, რაიონების ჰიდროტეხნიკოსებთან, სამებამბეო კოოპერაციის სარაიონო შენაერთების გამგეობებთან და კოლმეურნეობათა სარაიონო შენაერთებთან ერთად, კონკრეტიულად ჩამოაყალიბონ სარაიონო დავალებანი მებამბეობის დარგში ცალკე სოფლებისა და კოლექტიურ მეურნეობების მიხედვით და ჩაატარონ დასათესი ფართობის გეგმის ფართოდ განხილვა საწარმოო გეგმის შედგენის წესით თვითეული სოფლისა და კოლექტიური მეურნეობისათვის, ხოლო სარწყავი ფართობის მიმართ—თვითეული სისტემისა და არხისათვის; ამასთანავე გამოარკვიონ ბამბის ფართობის გადიდების მაქსიმალური შესაძლებლობა და დაკვეთონ საჭირო ფართობი ბამბის თესვისათვის.

2. დაევალოს სამებამბეო კოოპერაციას და წინა მუხლში აღნიშნულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და ტფილისის საქალაქო საბჭოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 30-სა დაიწყონ ყველა რაიონში კამპანია ბამბის დარგში 1931-32 წლისათვის (საბამბო მეურნეობის წლისათვის) მიცემულ დავალებათა განხილვის შესახებ და საწარმოო და თესვის გეგმების შედგენის შესახებ თვითეული სოფლისა და კოლექტიური მეურნეობისათვის; თანაც გეგმების შედგენა და განხილვა დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-ისა. ამასთან ერთად, დაევალოს სამებამბეო კოოპერაციას იმავე პერიოდის განმავლობაში განახორციელოს მთესველთა სწორე რეგისტრაცია მებამბეობის მთავარი კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილების მიერ შემუშავებული და სამებამბეო კოოპერაციასთან შეთანხმებული ბლანკების მიხედვით და მიუჩინოს ცალკეულ მეურნეობათ და კოლმეურნეობათ განსაზღვრული, წყლით უზრუნველყოფილი, ფართობები ბამბის თესვისათვის იმ ანგარიშით, რომ მთლად საზაფხულო წყალი მოხმარდეს მხოლოდ ბამბას და მაქსიმალურად იქნეს შემოღებული პრაქტიკაში ღამით მორწყვის სისტემა.

3. აიკრძალოს მებამბეობის რაიონებში სარწყავ, ბამბისათვის გამოსადეგ, მიწაზე დათესვა ბრინჯისა, კუნეუტისა, სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურებისა, რომელთაც საზაფხულო წყალი ბამბასთან ერთად სჭირდებათ, და ამავე დროს აკრძალულ იქნეს ამ რაიონებში აღნიშნული კულტურების კონტრაქტაცია.

4. დაევალოს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და ტფილისის საქალაქო საბჭოს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, ყოველგვარი დახმარება გაუწიონ წყალთა მეურნეობის ორგანოებს წყალსარგებლობისა, ღამით რწყვისა, საზამთრო არატისა, ნატურალური ბეგარის წესით მოსახლეობის სამუშაოზე გასვლისა და წყლის გამოსაღების გადახდევინების მოწესრიგების საქმეში და აგრეთვე იმ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რაც მიმართული იქნება წყლის მოსარგებელთა შორის სათანადო საწარმოო დისციპლინის დასამყარებლად.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. საქტემბრის 25.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 226 №-ში 1930 წ. სექტემბრის 27.

---

## 305. დადგენილება ს. კ. ს.

**საცხოვრებელი საზოგადოების შოვნისა, დაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების თაობაზე გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საცხოვრებელი სადგომების შოვნისა, დაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-ით, მუხ. 279) მე-8 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** იმისათვის, რათა მშრომელებმა, რომელნიც ცხოვრობენ მუნიციპალურ სახლში, მათ შორის საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის მიერ იჯარით აღებულ სახლში, და აგრეთვე კერძო ფლობელობის სახლში, გაუცვალონ ერთმანეთს საცხოვრებელი სადგომი (კერძო ფლობელობის სახლში—კომუნალური ფონდის ფარგლებში), სახლის სამოურაოს თანხმობა საჭირო არ არის (სამოქ. სამ. კოდექსის 156[1] მუხლი)“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. სექტემბრის 25.
ტფილისი-სასახლე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 306. დადგენილება ს. კ. ს.

**სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან არსებული საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან არსებული საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე კომიტეტების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. სექტემბრის 30.
ტფილისი-სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან არსებული საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე კომიტეტების შესახებ.**

1. საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისა, სკოლის პოლიტექნიზაციისა და კულტურული მშენებლობის ტემპების გაძლიერების ამოცანების გარშემო სხვადასხვა ორგანიზაციების და ფართო საზოგადოებრივობის ძალებისა და მატერიალური სახსარის მობილიზაციის მიზნით სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, მოეწყობა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლებისა და სკოლის პოლიტექნიზაციის დამხმარე კომიტეტები.

2. კომიტეტებში შედიან: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოს სოციალურ-კულტურული განყოფილებისა, პარტიის, კომკავშირის და პიონერების ადგილობრივი ორგანიზაციებისა, ადგილობრივი საბჭოთა პროფესიონალური, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა, კოლმეურნეობათა შენაერთის ან ცალკეულ კოლმეურნეობათა გამგეობებისა, საბჭოთა მეურნეობისა, „ბავშის მეგობართა“ საზოგადოებისა, „ძირს უწიგნობა“-ს საზოგადოებისა, სოფლის და ქალაქის კავშირის საზოგადოებისა, „წერა-კითხვის“ საზოგადოებისა, მუშებისა და მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხობისა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისრება აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოს თავმჯდომარეს— კუთვნილებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კომიტეტი აირჩევს პრეზიდიუმს თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა, მდივნისა და ხაზინადრის შედგენილობით.

4. საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) საბჭოთა საზოგადოებრივობის ძალებისა და ნივთიერი სახსარის მობილიზაცია მათი გამოყენებისათვის კულტურული მშენებლობის საქმეში მშრომელთა ფართო მასების თაოსნობის გამოჭეღავნება, კულტურული მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) კულტურული მუშაობის ერთიანი გეგმის შემუშავება და დამტკიცება თავისი მოქმედების რაიონებისათვის და აგრეთვე სათანადო ღონისძიებათა მიღება ამ გეგმის განსახორციელებლად;

გ) მშრომელთა მასაში აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და სკოლის პოლიტექნიზაციის განხორციელების საქმეში ჩქარი ტემპების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ და აგრეთვე სათანადო ღონისძიებათა შემუშავება და გატარება ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის;

დ) შემუშავება, ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ დადგენილებათა საფუძველზე, კონკრეტული ღონისძიებებისა თავიანთ ტერიტორიაზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისა და სკოლის პოლიტექნიზაციისათვის; იმავე დროს სკოლაში მისაღებ ბავშთა და მოზარდთა რიცხვის გამორკვევა, იმ პუნქტების არჩევა, სადაც ახალი სკოლები უნდა მოეწყოს, და ზრუნვა დასახული გეგმის განხორციელებისათვის:

ე) სკოლების არსებული და ახალი ქსელის უზრუნველყოფა საჭირო შენობებით (ახალი სკოლების აგება, არსებული სკოლების შეკეთება-გაფართოება, კონფისკებული სახლების მიღება და გადაკეთება სკოლისათვის გამოსაყენებლად, დროებითი სადგომების დაქირავება, ღონისძიების მიღება, რათა სკოლებს დაუბრუნდეს ამჟამად არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენებული შენობები, სკოლებისათვის საჭირო ინვენტარის, და სასწავლო მოწყობილობის შეძენა და სხვ.);

ვ) გადამწყვეტ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება სკოლების პოლიტექნიზაციისათვის—მათი საწარმოზე მიმაგრებით (ფაბრიკაზე, ქარხანაზე, საბჭოთა მეურნეობაზე, კოლმეურნეობაზე, მსხვილ სახელოსნოზე, ელექტრო-სადგურზე); სკოლებთან სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებისა და სახელოსნოების მოწყობა სამეურნეო, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით და მათი ნივთიერი დახმარებით;

ზ) თვალყურის დევნება და სათანადო ღონისძიებათა მიღება, რათა როგორც დაწესებულებებმა, ისე მოსახლეობამ დაუბრკოლებლად აღასრულოს საყოველთაო სწავლების კანონი;

თ) საზოგადოებრივი სახსარის შეგროვება და გამოყენება ღარიბთა ფონდის შესაქმნელად და მოსწავლე ახალგაზრდობის ულარიბესი ნაწილის უზრუნველსაყოფად ტანსაცმელით, ფეხსაცმელით, სასწავლო ნივთებით, საერთო საცხოვრებლებით, ცხელი საუზმით და სხვ.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება იმისათვის, რათა სკოლები, „სახელგამისა“ და კოოპერაციის დახმარებით, თავის დროზე იქნენ მომარაგებული საჭირო რაოდენობის სასწავლო წიგნებით, ხელსაწყოებით და სხვა სათანადო საგნებით;

კ) პედაგოგების საჭირო კადრის გამორკვევა და განათლების ორგანოებისათვის სათანადო მოთხოვნილების თავის დროზე წარდგენა, ყოველგვარი ხელმისაწვდენი საშუალებისა და შესაძლებლობის გამოყენება პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ლ) ჩამორჩენილ მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობის ორგანიზაცია და ორწლიანობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ღონისძიების მიღება;

მოსამზადებელი კურსების მოწყობა მოჯამაგირეთა, ასაკ-გადაცილებულთა და საერთოდ მოზრდილთათვის იმ მიზნით, რათა ისინი მოემზადნენ და ამა თუ იმ სკოლაში შევიდნენ;

მ) თვალყურის დევნება და ზრუნვა მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობისათვის სამკურნალო-პროფილაქტიური დახმარების მოწესრიგებით, რაშიაც უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ ჯანმრთელობის ორგანოებმა;

ნ) მატერიალური სახსარის შეგროვება კულტურული მშენებლობის საჭიროებისათვის, კერძოდ, სასყიდლიანი საღამოებისა, კონცერტებისა და სხვა საბახაობის მოწყობა, შაბათობის, კვირეულების და ერთთვიურების ორგანიზაცია მოსახლეობის ნებაყოფლობითი ფიზიკური შრომის ფართოდ გამოყენებით;

ო) საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაცია საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისა, სკოლის პოლიტექნიზაციისა და საერთო მთელი კულტურული მშენებლობის საქმისათვის;

პ) ღონისძიების ხმარება მოზრდილთა შორის უწიგნობის ლიკვიდაციისათვის და სათანადო მუშაობის წარმოება პოლიტიკურ-განმანათლებელი საქმის ყველა მხარის მოწესრიგებისათვის.

5. საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და სკოლის პოლიტექნიზაციის დამხმარე კომიტეტების დადგენილება ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭო კუთვნილებისამებრ.

6. ნივთიერი სახსარი, რასაც შეაგროვებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოები თავიანთი მოქმედების ტერიტორიაზე, დაიხარჯება ადგილობრივ საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და სკოლის პოლიტექნიზაციის ამოცანების შესაბამისად.

7. რათა დიდ ქალაქებში და იმ რაიონებში, სადაც შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა, საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და სკოლის პოლიტექნიზაციის ცალკეულ დარგებში წარმოებული მუშაობა სათანადოდ გაფართოვდეს, შეიძლება კომიტეტების მუშაობა დაყოფილ იქნეს სექციებად, მაგალითად: სამშენებლო, საფინანსო, საგეგმო, საგიტაციო-საპროპაგანდო, ღარიბთა ფონდის, პოლიტექნიზაციის და სხვ. სექციები.

8. კომიტეტები მოისმენენ დეკადაში ერთხელ ანგარიშს საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისა და სკოლის პოლიტექნიზაციისათვის ჩატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული მუშაობის შედეგების შესახებ, და გამოიტანენ დადგენილებას მუშაობის შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესების შესახებ. მოკლე ანგარიში მუშაობის შესახებ სისტემატიურად გაიგზავნება პრესაში.

9. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან არსებული საყოველთაო სავალდებულო სწავლების დამხმარე კომიტეტები ექვემდებარებიან საყოველთაო სავალდებულო სწავლების რესპუბლიკანურ კომიტეტს და ყოველ დეკადაში წარუდგენენ მას თავიანთი მუშაობის ანგარიშს. სარაიონო კომიტეტები, თავის მხრივ, ხელმძღვანელობას გაუწევენ სასოფლო საბჭოებთან არსებული კომიტეტების მუშაობას.

10. კომიტეტების მუშაობის გამაუმჯობესებულ მეთოდებად უნდა იყოს: სოციალისტური შეჯიბრება კომიტეტებს შორის, დამკვრელობა, მასიური კულტურული ლაშქრობა, საზოგადოებრივი შემოწმება და ბრძოლა შეგებებული საფინანსო-საწარმოო გეგმის შესრულებისათვის.

---

## 307. დადგენილება ს. კ. ს.

### 1928/29 და 1929/30 წლებში გაცემული სათესლე სესხის გადახდევინების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი სათესლე სესხის გადახდევინებისა:

ა) 1928/29 და 1929/30 წლებში გაცემული სათესლე სესხი, მიუხედავად იმისა,—ნატურად იყო იგი გაცემული თუ ფულად, გადახდევინებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ნატურად 18,43 კილოგრამის (1 ფუთი და 50 გირ.) რაოდენობით 16,38 კილოგრამ (1 ფუთი) გაცემულ სათესლე მარცვალზე; ამასთანავე ფულადი სესხის მარცვალზე გადატანისათვის ანგარიშში უნდა იქნეს მიღებული მტკიცე დასამზადებელი ფასები, რაც სესხის გაცემის დროს დაწესებული იყო ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ (საქართველოს სსრ-ში);

ბ) საკრედიტო ამხანაგობის მიერ გაცემული სათესლე სესხის დასაფარავად, ეს ამხანაგობა შეადგენს იმ პირთა სიას, ვისაც სათესლე სესხი ჰმართებს და წარუდგენს ამ სიას დამმზადებელ ორგანიზაციას, რომელიც მარცვლის რეალიზაციისას, პროდუქციის ჩამბარებელთან ანგარიშის გასწორების დროს, დაუჭერს ჩამბარებელს დავალიანებას საკრედიტო ამხანაგობის მიმართ სათესლე სესხის სფეროში და გადახდევინებულ სესხს გადასცემს კუთვნილებისამებრ.

იმ შემთხვევაში, როდესაც სათესლე სესხი უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ დაარიგა და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას ოპერაცია ჯერ კიდევ არ გაუფორმებია, მოვალეთა სიას სათესლე სესხის ამ ნაწილისათვის გადასცემს დამმზადებელ პუნქტებს სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია.

2. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ საკოლმეურნეო ბან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის ამიერკავკასიის კონტორასთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

3. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციას განსაზღვროს იმ ზარალის რაოდენობა, რაც მას 1928/29 წელს სათესლე სესხის ოპერაციებით მოუვიდა და დასვას საკითხი ამ ზარალის საბიუჯეტო ასიგნებიდან დაფარვის შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება 1930 წ. აგვისტოს 30-ის რედაქციით გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. სექტემბრის 30.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 234 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 7.

---

## 308. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყობა სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი.

2. კომიტეტს დაეკისრება საქართველოს სსრ-ის ფარგლებში:

ა) ხელი შეუწყოს შინამრეწველების დაკოოპერირებას;

ბ) განსაზღვროს სარეწაო კოოპერაციის დამოკიდებულება სახელმწიფო მრეწველობასთან და სხვა კოოპერატიულ სისტემებთან, კერძოდ, კოლექტიურ მეურნეობებთან;

გ) შეათანხმოს საქართველოს სსრ-ის უწყებებისა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ორგანიზაციების მუშაობა შინამრეწველობის სფეროში;

დ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მთავრობას პროექტი დადგენილებებისა სარეწაო კოოპერაციის და შინამრეწველობის შესახებ;

ე) მისცეს ხოლმე დასკვნა იმ პროექტების შესახებ, რაც შეტანილ იქნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში და რაც კომიტეტის მოქმედების საგანს მიეკუთვნება;

ვ) საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს მთავრობის იმ დადგენილებათა აღსრულებას, რაც სარეწაო კოოპერაციას და შინამრეწველობას შეეხება;

ზ) მოიწვიოს ხოლმე ყრილობები და თათბირები სარეწაო კოპერაციისა და შინამრეწველობის საკითხების შესახებ.

3. კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და წევრებს დანიშნავს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

4. კომიტეტს უფლება ეძლევა უშუალო ურთიერთი მიმართვა იქონიოს საქართველოს სსრ-ის, კერძოდ, აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა სახელმწიფო დაწესებულებასთან.

5. კომიტეტის შტატი და ხარჯთაღრიცხვა შეიტანება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შტატსა და ხარჯთაღრიცხვაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი-სასახლე.

---

## 309. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშველი.**

1930 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი-სასახლე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციის შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციის მიზანია განახორციელოს:

ა) მშენებლობის დაგეგმვა, ბ) მშენებლობის ტეხნიკურ-ეკონომიური რეგულირება, გ) მშენებლობის ნორმირება, დ) მშენებლობის აღნუსხვა, ე) მშენებლობის რეკონსტრუქცია, ვ) მშენებლობის რაციონალიზაცია, ზ) მშენებლობისათვის ტეხნიკურ-ეკონომიური ზედამხედველობის გაწევა და თ) მშენებლობის გეგმების აღსრულებისათვის თვალყურის დევნება.

2. პირველ მუხლში აღნიშნული მიზნების შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციის მოვალეობას შეადგენს:

### ა. მშენებლობის დაგეგმვის სფეროში

ა) შეადგინოს მშენებლობის ჯუმლობრივი გეგმები;

ბ) შეიმუშაოს საშენი მასალისა, მუშა-ძალისა, ტეხნიკური პერსონალისა და მშენებლობის განსახორციელებლად საჭირო სხვა რესურსების წლიური და საპერსპექტივო ბალანსები;

გ) შეადგინოს სამშენებლო მრეწველობის (სამშენებლო მუშაობის წარმოება და საშენი მასალის მრეწველობა) განვითარებისა და ორგანიზაციის ჯუმლობრივი გეგმები, განსაზღვროს სამშენებლო მრეწველობის ცალკეული ელემენტების განვითარების ტემპების ძირითადი მაჩვენებლები;

დ) შეადგენოს საბინაო და კომუნალური მშენებლობისა და მეურნეობის ჯუმლობრივი წლიური და საპერსპექტივო გეგმები;

ე) გაანაწილოს საშენი მასალა მშენებელ ორგანიზაციათა შორის და საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს და ოლქებს შორის;

ვ) შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი მშენებლობის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად და განახორციელოს ა/კსფსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დადგენილი ღონისძიებანი (სამშენებლო სეტორის ხაზით).

### ბ. მშენებლობის ტეხნიკურ-ეკონომიურ რეგულირებისა და ნორმირების სფეროში.

ა) დაადგინოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივების (სამშენებლო სექტორის ხაზით) შესაბამისად, მშენებლობის საერთო ტეხნიკური წესები, ნორმები და პირობები და აგრეთვე მშენებლობის საერთო ტეხნიკურ-ეკონომიური ნორმები და წესები. (ღირებულების ლიმიტები გადიდრონებული საზომები, საშენი მასალისა და მუშა-ძალის მოხმარების ნორმები, ზედნადები ხარჯების ნორმები და საცნობარო ფასები, სამუშაოს და მასალის მიღებისა და ჩაბარების წესები, მუშაობის წარმოების ტეხნიკური პირობები და სხვ.), სადირექტივო ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის საგეგმო-სამშენებლო ორგანოების მუშაობას და აგრეთვე უწყებების ორგანოების მუშაობას ამ დარგში;

ბ) მისცეს დასკვნა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ (სამშენებლო სექტორის ხაზით) გამოსაცემად განზრახული ინსტრუქციების შესახებ და გამოსცეს თავისი ინიციატივით ინსტრუქციები და განმარტებანი მშენებლობის დარგში მოქმედი კანონმდებლობის შეფარდების შესახებ;

გ) მისცეს დასკვნა იმ წესებისა, ნორმებისა და კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რომელთა დადგენასაც განიზრახავს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია (სამშენებლო სექტორის ხაზით) ახალი ქალაქების მშენებლობისა და არსებული ქალაქების ბინებისა და ყოფაცხოვრების სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე გადაკეთების საკითხების სფეროში და აგრეთვე შეიმუშაოს და განსაზღვროს, უკეთუ საჭირო იქნება, ეს წესები, ნორმები და ღონისძიებანი სამშენებლო სექციის ინიციატივით;

დ) მისცეს დასკვნა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ (სამშენებლო სექტორის ხაზით) შემუშავებული დასახლებული ადგილების აღნაგობის წესებისა და ნორმების შესახებ და აგრეთვე შეიმუშაოს ეს წესები და ნორმები თავისი ინიციატივით;

ე) შეიმუშაოს სამშენებლო საქმის ორგანიზაციის გეგმა და სადირექტივო ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის საგეგმო-სამშენებლო ორგანოების მუშაობას და სახალხო კომისარიატებისა და ადგილობრივი ორგანოების მუშაობას აღნიშნული გეგმის განხორციელების საქმეში, კერძოდ, მშენებლობის ღირებულების შემცირებისა, რესურსების რაციონალურად გამოყენებისა, დანაკარგთან ბრძოლისა და სამშენებლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში;

ვ) შეიმუშაოს საკანონმდებლო აქტები მშენებლობის საკითხების შესახებ.

ზ) შეადგინოს ხოლმე დასკვნა ყველა საკითხის შესახებ, რაც მშენებლობას შეეხება და რაც შეტანილ იქნება განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში.

### გ. მშენებლობის აღნუსხვის სფეროში.

აღნუსხოს საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობა და აგრეთვე დააწესოს იმ აღნუსხვის სისტემა და ფორმეები, რაც ხორციელდება საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო საგეგმო კომისიების საგეგმო-სამშენებლო სექციებისა და რესპუბლიკანური ორგანიზაციების საგეგმო ორგანოების მეშვეობით.

### დ. მშენებლობის რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციის სფეროში.

ა) წარმართოს და შეუთანხმოს რესპუბლიკის ორგანიზაციების მუშაობა მშენებლობის რაციონალიზაციისა, მუშაობის ახალი მეთოდების, მასალის და კონსტრუქციების გამოყენებისა და ტიპების და სტანდარტების შემუშავების სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მისცეს დასკვნა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის მიერ მშენებლობაში რეკონსტრუქციის განხორციელებისა, კერძოდ— ტიპიზაციისა და სტანდარტიზაციისა, მუდმივი მუშათა კადრების ძირითადი ფონდის შექმნისა და განუწყვეტელ წელიწადზე გადასვლისათვის შემუშავებული გეგმისა და ძირითადი ღონისძიებების შესახებ და განახორციელოს ეს გეგმა და ღონისძიებები;

გ) მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს საცდელ მშენებლობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე და განაზოგადოოს არსებული მიღწევები;

დ) გამოსცეს ლიტერატურა სამშენებლო სექციის კომპეტენციის საკითხების შესახებ.

### ე. მშენებლობის პროექტების განხილვისა და მშენებლობისათვის სატეხნიკო-საინსპექტორო ზედამხედველობის გაწევის სფეროში.

ა) განიხილოს და შეათანხმოს ან დაამტკიცოს პროექტები, რაც მომქმედი კანონმდებლობით დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

ბ) აღმოუჩინოს ტეხნიკური დახმარება მშენებელ ორგანოებს რთული ტეხნიკური საკითხების ექსპერტიზით;

გ) განახორციელოს სამშენებლო კონტროლი მთელი მშენებლობის მიმართ საქართველოს სსრ ის ტერიტორიაზე, როგორც უშუალოდ, ისე საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის საგეგმო-სამშენებლო ორგანოებისა და ცალკეული რესპუბლიკანური ორგანიზაციების საგეგმო ორგანოების მეშვეობით ან და სხვა ორგანოების მეშვეობით, რომელთაც დაკისრებული აქვთ სამშენებლო კონტროლის გაწევის მოვალეობა.

### ვ. მშენებლობის გეგმის შესრულებისათვის მეთვალყურეობის გაწევის სფეროში.

ა) თვალყური ადევნოს მშენებლობისათვის სამზადისს, მთავრობის დირექტივების აღსრულებას და სამშენებლო გეგმების განხორციელებას;

ბ) შეისწავლოს ცნობები სამშენებლო გეგმების შესრულების შესახებ და შეაფასოს ცალკეული მაჩვენებლების შედეგები;

გ) შეადგინოს პერიოდული ანგარიშები და მოხსენებანი სამშენებლო გეგმების შესრულების შესახებ მთავრობაში წარსადგენად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექციას უფლება ეძლევა მიიღოს და დახარჯოს სპეციალური სახსარი პროექტების განხილვისა და ექსპერტიზის გამოსაღებიდან.

4. სამშენებლო სექციას დაეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის საგეგმო-სამშენებლო ორგანოების მუშაობას და აგრეთვე ორგანიზაციების საგეგმო ორგანოების მუშაობას იმ საკითხების გამო, რაც სამშენებლო სექციის კომპეტენციას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სამშენებლო სექცია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის უშუალო გამგებლობაშია და მას სათავეში უდგას სექციის თავმჯდომარე—საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრი.

6. სექციის აპარატის შინაგანი სტრუქტურა და შტატი დადგენილ იქნება საერთო წესით.

7. სამშენებლო სექციასთან არსებობს მშენებლობის სატეხნიკო საბჭო, რომელზედაც მენაცვლეობით გადადის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის უფლება-მოვალეობა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვის და დამტკიცების საქმეში.

მშენებლობის სატეხნიკო საბჭო შესდგება იმ პირთაგან, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო თავისი განსაკუთრებული დადგენილებით.

8. სამშენებლო სექციის მიერ დამუშავებული საკითხების გადაწყვეტის წესს დაადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი.

---

## 310. დადგენილება ს. კ. ს.

**სახალხო მასწავლებლების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.**

სოციალიზმის შენების ქვეყანაში სოციალისტური შეტევა კულტურულს ფრონტზედაც იზრდება. კულტურული მშენებლობის სფეროში საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დასმულია უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები, როგორიც არის: საყოველთაო სავალდებულო სწავლების დაკვრითი წესით განხორციელება, უწიგნობის სრული ლიკვიდაცია ერთი წლის განმავლობაში, განათლების მთელი სისტემის პოლიტეხნიზაცია და გარდაქმნა სახალხო-სამეურნეო მშენებლობის ძირითად ამოცანების შესაბამისად, მშენებლობის ყველა დარგის უზრუნველყოფა მაღალი კვალიფიკაციის მომუშავეთა საჭირო კადრებით და სხვ.

ამ უმნიშვნელოვანესი და რთული ამოცანების გადაწყვეტა,—ნივთიერი სახსარის გამონახვისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო მობილიზაციის საჭიროებას რომ თავი დავანებოთ,—განათლების მომუშავეთა მთელი კულტურული ლაშქარის ენერგიულ მუშაობაზეა დამოკიდებული: მასწავლებლობა ის ძირითადი ძალაა, რომელმაც უშუალო და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კულტურული რევოლიუციის უმთავრესი ამოცანების აღსრულებაში. მასწავლებლობამ უპირველეს ყოვლისა უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარი ტემპით განხორციელდეს საყოველთაო სავალდებულო სწავლება, სკოლის გარდაქმნა აგრონომიულ და პოლიტეხნიკურ საფუძველზე, ნამდვილი შრომის სკოლის შექმნა და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების დარგის მომუშავეებს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ თავიანთი ერთგულება სოციალიზმისადმი საზოგადოებრივ-კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული მუშაობის სფეროში, მაგალითად ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობით უწიგნობის ლიკვიდაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, მტკიცე ბრძოლით კულაკობის წინააღმდეგ, თესვისა და პურის დამზადების კამპანიაში მონაწილეობით და სხვ.

კულტურული მუშაობის ფართოდ გაშლილი ფრონტი განათლების დარგის მომუშავეთა ლაშქარს, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლობას, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს, მოითხოვს მათგან უფრო ენერგიულს და ნაყოფიერ ბრძოლას კულტურული მშენებლობის ჩქარი ტემპისათვის, მუშაობის თვისებითი და რაოდენობითი ზრდისა და გაფართოებისათვის.

უკვე დაწყებული უდიდესი კულტურული ლაშქრობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს შექმნა განათლების დარგის მომუშავეთა საკმაო რაოდენობის და მაღალი ხარისხის კადრებისა, რომელნიც ერთგულად და თავგამოდებით იმუშავებენ კულტურული მშენებლობის სარბიელზე, იბრძოლებენ სოციალისტური ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის მშენებლობისათვის და აღზრდიან სოციალიზმის მშენებელთა ახალ კადრებს.

განათლების დარგის მომუშავეთა უდიდესი როლი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, რაც არა ერთხელ აღუნიშნავს ამხ. ლენინს, გვიკარნახებს მეტი ყურადღება მივაქციოთ განათლების დარგის მომუშავეების და, კერძოდ, სახალხო მასწავლებლის მდგომარეობას; მათ უნდა შევუქმნათ ნორმალური და მუშაობისათვის ხელშემწყობი პირობები. მასწავლებელთა კადრების მომზადებასთან ერთად, მიღებულ უნდა იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა ახალგაზრდობა და მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ხალისით მიდიოდეს სამუშაოდ კულტურულ ფრონტზე და რჩებოდეს ამ სამუშაოზე.

ასეთ ღონისძიებათა შორის უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლის ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მასწავლებელთა მუშაობის მძიმე პირობებს სრულიად არ შეეფერება მათი ნივთიერი მდგომარეობა, კერძოდ, მცირე ხელფასი და ხშირად მისი გაცემის დაგვიანება ადგილობრივი ორგანოების მიერ. მასწავლებელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეს ზოგჯერ სრულიად არ ექცევა ყურადღება ისე, რომ მასწავლებელი მოკლებულია საშუალებას აუცილებელი პროდუქტები შეიძინოს და იძულებული ხდება მიატოვოს მუშაობის ადგილი. არ არის აგრეთვე უზრუნველყოფილი მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობა: ძალიან ხშირად ხდება მათი უკანონოდ განკულაკება, ხმის უფლების ჩამორთმევა, უმიზეზოდ თანამდებობიდან მოხსნა, ერთი ადგილიდან მეორეზე უმიზნოდ და უსაფუძვლოდ გადაყვანა, დაშინება, მასწავლებელ ქალთა დევნა, ძალმომრეობა და შევიწროება (მასწავლ. ილინას თვით მკვლელობა აფხაზეთში, ჩხარის მასწავლებელი-ქალის—ჩაფიძის წამება ადგილობრივი ულირსი მომუშავეების მიერ და სხვ.).

ზემოაღნიშნულის მიხედვით და აგრეთვე იმის გამო, რომ განათლების ორგანოების მონაწილეობა ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობების საქმეში დღემდე სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი და რომ, მეორეს მხრით, პროკურატურისა და სასამართლო სათანადო ორგანოების ღონისძიებანიც ამ საქმეში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგანან და ვერ უზრუნველყოფენ განათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების დარგის მომუშავეთ მასწავლებელთა უფლებების დარღვევის შემთხვევებ-
საგან, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, განათლების სახალხო კომისარიატთან და განათლების დარგის მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, შეიმუშაოს ღონისძიებანი მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად როგორც ხელფასის გადიდების, ისე ამ ხელფასის თავის დროზე გაცემის მხრივ.

2. მუშათა მომარაგების ნორმების მხრივ (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კვების პროდუქტები და სხვ.) სოფლის პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლები და მათი ოჯახის წევრები გათანასწორებულ იქნენ ინდუსტრიალურ მუშებთან; დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, სათანადო სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოებთან ერთად, შეიმუშაოს ამ მიმართულებით საჭირო ღონისძიებანი და განახორციელოს ეს დადგენილება არა უგვიანეს ამა წლის ნოემბრის 1-ისა.

3. სოფლის პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებლები უზრუნველყოფილ იქნენ უსასყიდლოდ კომუნალური მომსახურეობით (ბინა, გათბობა, განათება); დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს განახორციელონ ეს დადგენილება 1930/31 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

4. წინადადება მიეცეს ყველა ორგანოს, რომელზედაც ირიცხება დავალიანება მასწავლებელთა ხელფასის ან პენსიის სფეროში, სრულიად გაასწორონ ანგარიში ათი დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ.

5. დაევალოს კოლმეურნეობათა ცენტრს და განათლების სახალხო კომისარიატს, განათლების დარგის მომუშავეთა კავშირთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაონ საკითხი კოლმეურნეობის წევრ მასწავლებელთა კოლმეურნეობაში მიზანშეწონილი გამოყენებისა, ხელფასიდან კოლმეურნეობის სასარგებლოდ ანარიცხის გადადების წესისა და რაოდენობისა და კოლმეურნეობის შემოსავალში მასწავლებელთა მონაწილეობის შესახებ; აგრეთვე დაამუშაონ საკითხი კოლმეურნეობის წევრ და არა წევრ მასწავლებელთა კვების პროდუქტებით მომარაგების შესახებ და განსაზღვრონ ის მოვალეობანი, რაც ამ საქმეში კოლმეურნეობებს ეკისრებათ.

6. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწესრიგონ საკითხი მასწავლებელთა საზოგადოებრივი მუშაობით დატვირთვის შესახებ და უზრუნველჰყონ, რათა მასწავლებლებმა პირველ რიგში აუცილებლად თავიანთი პირდაპირი მოვალეობა შეასრულონ. მასწავლებელთა საზოგადოებრივი მუშაობა განისაზღვროს საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეებში მონაწილეობის მიღებით და აიკრძალოს მათი გამოყენება საკანცელარიო-ტექნიკური მუშაობისათვის.

7. აიკრძალოს მასწავლებელთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, უკეთუ ეს აუცილებელი არ არის საქმის ინტერესის მიხედვით; თუ მასწავლებელი გადაყვანილ იქნა, მას ადგილობრივი სახსარიდან, შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, უნდა მიეცეს სათანადო თანხა საგზაო ხარჯის დასაფარავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და განათლების ცენტრალურსა და ადგილობრივ ორგანოებს სისწორით აღასრულონ და განახორციელონ სადირექტივო ორგანოების დადგენილებანი მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და გაუმჯობესების შესახებ.

9. დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და პროკურატურის ორგანოებს იხმარონ ხოლმე სწრაფი და გადამწყვეტი ღონისძიებანი ყველა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მასწავლებელთა უფლებას დაარღვევს და მოაწყონ დამნაშავე პირთა საზოგადოებრივი საჩვენებელი გასამართლება.

10. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი:

ა) მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად მარქს ლენინის მოძღვრების საფუძველზე, რისთვისაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პედაგოგიური სკოლების საჭირო ქსელის მოწყობა და პედაგოგიური განათლების ნამდვილი პოლიტეხნიზაცია;

ბ) მასწავლებელთა კადრების გასაძლიერებლად მუშათა, მოჯამაგირეთა და უღარიბეს გლეხთა ელემენტებით;

გ) მასწავლებელთა არსებული კადრების საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პედაგოგიური და პოლიტეხნიკური კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაუსწრებელი პედაგოგიური ინატიტუტებისა და პედაგოგიური ტეხნიკუმების ორგანიზაციით, გრძელვადიანი და მოკლევადიანი კურსების მოწყობით და სათანადო ლიტერატურის გამოცემით და მომარაგებით.

11. დაევალოს სახალხო კომისარიატებს და დაინტერესებულ ორგანიზაციებს გამოსცენ ამა დადგენილების საფუძველზე ცალკეული დადგენილებანი და ინსტრუქციები მათი ქვემდებარე ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

12. დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და განათლების სახალხო კომისარიატებს ერთი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გამოიკვლიონ საკითხი ამ დადგენილების აღსრულების შესახებ და განსაკუთრებული მოხსენება წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ამა დადგენილების აღსრულების დასაბუთებული გამოკვლევა სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს მომავალშიაც როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 238 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 311. დადგენილება ს. კ. ს.

**კულაკურ მეურნეობათა მიერ ბამბის ჩაბარების შესახებ.**

„1930 წ. მოსავლის ბამბის რეალიზაციისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 14-ის დადგენილების 1-ლი მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კულაკური მეურნეობანი, რომელნიც ბამბის მოყვანას მისდევენ, ვალდებულ არიან მთლად 1930 წლის მოსავლის ბამბა ჩააბარონ სათანადო დამმზადებელ ორგანიზაციას (სპეციალური და ტექნიკური კულტურების კოოპ. კავშირს) არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 1-ისა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფასების მიხედვით.

2. ამა დადგენილების შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად.

**შენიშვნა.** სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებულ გადასახდელს დაადებს სარაიონო საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ოქტომბრის 25.
ტფილისი-სასახლე.

---

## 312. დადგენილება ს. კ. ს.

**ხე-ტყისა და შეშის დამზადების საქმის რწმუნებულის დანიშვნისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

„ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმების შესრულების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის სექტემბრის 19-ის თარიღისა და 295 №-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 288 1930 წლის ოქტომბრის 24-სა) საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს სპეციალურად დანიშნულ რწმუნებულს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხე-ტყისა და შეშის დამზადების საქმის საერთო ხელმძღვანელობა და მისთვის მეთვალყურეობის გაწევა; ამასთანავე უფლება მიეცეს აღნიშნულ რწმუნებულს იხმაროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეშისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხე-ტყის დამზადების საქმის განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ დამტკიცებული ხე-ტყისა და შეშის დამზადების სამუშაოთა გეგმები დადგენილ ვადაზე იქნეს შესრულებული.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხე-ტყისა და შეშის დამზადების საქმის რწმუნებულად დაინიშნოს ამხ. პარმენ საბაშვილი.

3. წინადადება მიეცეს შეშისა და ხე-ტყის დამზადების რაიონების სასოფლო საბჭოებს მტკიცედ შეუფარდონ „ხე-ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გამოკვემულ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივნისის 3-ის დადგენილებაში (ა/კსფრ კან. კრ. 1930 წ. 13 №-ი, მუხ. 147) გათვალისწინებული ზეგავლენის ღონისძიებანი იმ საგლეხო მეურნეობათ და ცალკეულ პირთ, რომელნიც არ ასრულებენ მოქალაქეთა საერთო კრების მიერ თვითვალდების წესით მიღებულ დავალებებს ხე-ტყის დამზადებისა და გამოტანის სფეროში

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს ხე-ტყის დამზადების ადგილას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხე-ტყისა და შეშის დამზადების საქმის რწმუნებულის წინადადებით და ხე-ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების განცხადებით, დაადგინონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასყიდლიანი შრომისა და ჭაპანხიდვის ბეგარა იმ საფუძველზე და იმ წესით, რაც განსაზღვრულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის მაისის 21 -ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 12 № ი, მუხ. 177).

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხე-ტყისა და შეშის დამზადების საქმის რწმუნებულს დააწესოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხე-ტყისა და შეშის დამზადების პერიოდული ანგარიშგება და წარუდგინოს ხოლმე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკადობით ცნობები ხე ტყისა და შეშის დამზადების მსვლელობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ოქტომბრის 29.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 254 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 313. დადგენილება ს. კ. ს.

**„სახალხო მასწავლებლების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„სახალხო მასწავლებლის ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილების მე-2 მუხლი („კომუნისტი“-ს 238/2886 №-ი 1930 წ. ოქტომბრის 11-სა) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

2. სასურსათო და სამრწველო საქონლით მომარაგების ნორმების მხრივ სოფლის მასწავლებლები და მათი ოჯახის წევრები გათანასწორებულ იქნენ: მასწავლებლები—სამრეწველო მუშებთან, ხოლო მათი ოჯახის წევრები—ქალაქში მყოფ მოსამსახურეებთან.

მიენდოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს დაინტერესებულ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ერთად—საჭირო ღონისძიებანი ზემოაღნიშნულ პირთა თავის დროზე მომარაგებისათვის სასურსათო და სამრეწველო საქონელით იმ ნორმების შესაბამისად, რაც განსაზღვრულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 28-ის დადგენილებით (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განმწესრიგებელი სხდომის ოქმი № 142, § 43 და ამ ოქმის მე-2 დანართი)“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ნოემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 267 №-ში 1930 წ. ნოემბრის 15.

---

## 314. დადგენილება ს. კ. ს.

**1930 წლის მოსავლის ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

„ა/კსფსრ-ში ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის მსვლელობის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 30-ის თარიღისა და 298 №-ის დადგენილების თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 296 №-ი 1930 წ. ნოემბრის 1-სა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წინადადება მიეცეს ბამბის დამზადების რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა ბამბა სრულად და თავის დროზე იქნეს მოკრეფილი მიმდინარე სადამზადებლო კამპანიის პერიოდში, რისთვისაც, შრომის კანონთა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება, უკეთუ საჭირო იქნება, შემოიღონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის შრომის ბეგარა იმავე კოდექსის მე-12—14 მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველებზე.

2. დაევალოს ყველა კულაკურ საბამბე მეურნეობას დაამთავროს ბამბის მოკრეფა თავის მინდვრებზე არა უგვიანეს 1930 წ. ნოემბრის 20-სა.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს პასუხისგებაში მისცენ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მიხედვით იმ კულაკური მეურნეობების მეთაურნი, რომელნიც სრულად არ მოჰკრეფენ თავიანთ მინდვრებზე ბამბას ზემოაღნიშნულ ვადაზე.

3. წინადადება მიეცეს ბამბის დამზადების რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს შემოიღონ მიმდინარე წლის მოსავლის ბამბის მოკრეფისა და ჩაბარების დროს განმავლობაში ფასიანი ჰაპანზიდვო ბეგარა იმ საფუძვლებზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 11-ის დადგენილებაში „პურის დამზადების რაიონებში სასყიდლიანი შრომითი ჰაპანზიდვის ბეგარის შემოღების შესახებ“(საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 23, მუხ. 284).

4. წინადადება მიეცეს ბამბის დამზადების რაიონების სასოფლო საბჭოებს ჩაატარონ მოქალაქეთა საერთო კრებებზე სათანადო განმარტების კამპანია ბამბის კამპანიის თაობაზედ და ბამბის თავის დროზე მოკრეფისა და დამზადებელი ორგანიზაციებისათვის ჩაბარების აუცილებლობის შესახებ.

5. პასუხისმგებლობა ამა დადგენილებისათვის დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სოფლო საბჭოებს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს მისცეს სასამართლო ორგანოებს დირექტივები იმ საქმეების სასწრაფოდ გადაწყვეტის თაობაზე, რაც ამა დადგენილების შეფარდების დროს აღიძვრის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

ტფილისი-სასახლე.
1930 წ. ნოემბრის 5.

გამოქეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 260 №-ში 1930 წ. ნოემბრის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 315. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების ქვემდებარე ყველა წარმოების საწარმოსთან გამოგონებათა და მუშების წინადადებათა რეალიზაციისა და საფაბრიკო-საქარხნო გამომგონებლობის ხელისშემწყობი სათანადო ორგანოების დაარსებისა და აგრეთვე გამომგონებლობისა და მუშების წინადადებათა ხელისშეწყობის ფონდების შექმნის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებებისა, რესპუბლიკანური კოოპერატიული კავშირებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ქვემდებარე ყველა წარმოებითს საწარმოს:

ა) მოაწყოს საწარმოსთან, უკეთუ მისი მუშების რიცხვი 500 კაცს აღემატება, გამოგონებათა და მუშების წინადადებათა რეალიზაციისა და საფაბრიკო-საქარხნო გამომგონებლობის ხელისშემწყობი სპეციალური ბიურო;

ბ) უკეთუ საწარმოს მუშების რიცხვი 500 კაცს არ აღემატება, მუშაობა გამოგონებათა და მუშების წინადადებათა სარეალიზაციოდ და საფაბრიკო-საქარხნო გამომგონებლობისათვის ხელშესაწყობად დააკისროს სპეციალურად გამოყოფილ პირს ან საწარმოს განსაზღვრულ საგამგებლო ორგანოს.

2. წინა მუხლში აღნიშნული, გამოგონებათა და მუშების წინადადებათა რეალიზაციისა და საფაბრიკო-საქარხნო გამომგონებლობის ხელისშემწყობი ორგანოები დაექვემდებაროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული გამოგონებათა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროს ხელმძღვანელობას იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 2-ის დადგენილებით „მუშათა გამომგონებლობის საკითხების ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 № ი, მუხ. 141).

4. 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა შორის ისეთში, სადაც აქამდე დაარსებული არ არის გამომგონებლობისა და მუშათა წინადადებების ხელისშეწყობის ფონდები, — შეიქმნას ეს მიზნობრივი ფონდები სათანადო საწარმოს სახსარიდან ერთდროული ახიგნობისა და აგრეთვე იმ ეკონომიის ანარიცხებისაგან, რაც მიღებულ იქნება საწარმოს მიერ თავისი მუშებისა და მოსამსახურეების გამოგონებათა და გაუმჯობესებათა გამოყენებით.

საბჭოთა გამომგონებლობისა და მუშების წინადადებების ხელისშეწყობის ფონდები შეიძლება დაიხარჯოს:

ა) პირველი საცდელი დანადგომისა და აპარატის დამზადებაზე გამოგონებისა და წინადადების გამოყენებისათვის საქარხნო მასშტაბით;

ბ) გამომგონებლისათვის და წინადადების შემტანი მუშისათვის ტეხნიკური დახმარების გაწევაზე, კონკურსის მოწყობაზე, ექსპერტიზაზე, კვლევისა და ცდის მოწყობაზე და სხვ.

გ) გამოგონებისა და წინადადების დაპრემირებაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სხვადასხვა საერთო ღონისძიებაზე მმრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის გამომგონებლობის სფეროში, ლიტერატურის შეძენაზე, კონსულტაციის გამართვაზე და სხვ.

ე) გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის ღონისძიებებზე.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ორი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოსცეს—საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან და სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებთან შეთანხმებით, ინსტრუქცია, რომელშიაც გაითვალისწინოს: ა) ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანოების მოქმედების წესი და მათი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული გამოგონებათა რეალიზაციის ცენტრალური ბიუროს მიერ; ბ) გამომგონებლობისა და მუშათა წინადადების ხელისშეწყობის ფონდების შექმნისა, შენახვისა და ხარჯის წესი, კერძოდ გამოგონებათა და წინადადებათა ავტორების დაპრემირების წესები.

**შენიშვნა.** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემაში შემავალი საწარმონი—გამოგონებათა და მუშების წინადადებათა რეალიზაციის ხელშემწყობი ორგანოების მოქმედების წესისა და საფაბრიკო-საქარხნო გამომგონებლობის ხელისშეწყობის ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესის მხრით, ექვემდებარებიან სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ გამოცემულ სათანადო დებულებებსა, ინსტრუქციებსა და ბრძანებებს.

6. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საწარმონი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

ტფილისი-სასახლე.
1930 წ. ნოემბრის 15.

---

## 316. დადგენილება ს. კ. ს.

**ეპიზოოტიებთან მებრძოლი სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოების „ვეტეპო"-ს ამიერკავკასიის კონტორისათვის ეპიზოოტიებთან ბრძოლის წარმოების დაკისრებისა და მის გაწკარგულებაში სავეტერინო პერსონალის გამოყოფის შესახებ.**

სოციალისტური სექტორის მეურნეობათა სავეტერინარო-სასანიტარო მხრით რაც შეიძლება საჩქაროდ გაჯანსაღებისათვის და საქართველოს სსრ-ში ეპიზოოტიებთან საბრძოლველად სასწრაფო და დამკვრელი მუშაობის ჩატარებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მასსიურ ეპიზოოტიებთან ბრძოლისათვის საჭირო მთელი გეგმიანი და გეგმის გარეშე მუშაობის ჩატარება, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დავალებების მიხედვით და კონტროლით, მიენდოს ეპიზოოტიებთან მებრძოლი სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოების „ვეტეპო"-ს ამიერკავკასიის კონტორას, რომელიც მოქმედობს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ 1930 წ. მაისის 21-ს დამტკიცებული წესდების თანახმად.

2. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოჰყოს მუდმივი მუშაობისათვის ეპიზოოტიებთან მებრძოლი სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოების „ვეტეპო"-ს ამიერკავკასიის კონტორის სრულ განკარგულებაში საქართველოს სსრ-ში მყოფი სავეტერინარო პერსონალის შედგენილობიდან აღნიშნული სააქციო საზოგადოების მუშაობის გასაშლელად საჭირო სავეტერინარო პერსონალის კადრი, სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. მარტის 17-ის თარიღისა და 520 №-ის ცირკულიარით განსაზღვრული განაწილებისა და დირექტივების თანახმად.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს, აგრეთვე ადგილობრივ ადმინისტრატიულ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სააქციო საზოგადოების „ვეტეპო"-ს სავეტენირარო რაზმებს მათ სამუშაოთა წარმატებით განხორციელების საქმეში: წარუდგინონ მათ ოთფეხი საქონელი გასასინჯად, ასაცრელად, სირეგისტრაციოდ, დასადაღად და სხვ.; მოაწყონ ცხენსაბმელები; გამოჰყონ მუშები ცხოველთა დასაკავებლად და აძლიონ ხსენებულ რაზმებს სასყიდლით, ნორმების თანახმად, მიმოსვლის საშუალებანი, პროდუქტები, ბინები და სხვ.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა ეპიზოოტიებთან ბრძოლა წარმატებით იქნეს ჩატარებული, სააქციო საზოგადოების „ვეტეპო"-ს რაზმებისათვის დახმარების გასაწევად საჭირო ყველა ღონისძიების განხორციელება დააკისრონ ერთ-ერთ თავიანთ პასუხისმგებელ მომუშავეს.

5. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ადგილებზე ამა დადგენილების ზედმიწევნით შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ნოემბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 272 №-ში 1930 წ. ნოემარის 20.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.

მთავლ. № 2371. ტირაჟი 1.050.